



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2017 წელი 28 აპრილი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე-გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ელექტრონული აუქციონის გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების სარგებლობის უფლებით გაცემა:

ა) სოფელ სარფში არსებული სავალუტო ჯიხური (მარცხენა მხარე) 3 კვ.მ ფართი (ს/კ 22.30.02.199.01.517);

ბ) სოფელ სარფში არსებულ ძირითად შენობა-ნაგებობაზე მიშენებული 10 კვ.მ ფართი (ს/კ 22.30.02.199.01.517);

გ) სოფელ სარფის ცენტრში მოსაცდელის შენობის (სავალუტო ჯიხურის) თავზე სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის (ს/კ 22,30,02,199,01/517);

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების საიჯარო ღირებულება შემდგენიარად:

ა) სოფელ სარფში არსებული სავალუტო ჯიხური (მარცხენა მხარე) 3 კვ.მ ფართის (ს/კ 22.30.02.199.01.517) წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 3000 ლარის ოდენობით ;

ბ) სოფელ სარფში არსებულ ძირითად შენობა-ნაგებობაზე მიშენებული 10 კვ.მ ფართის (ს/კ 22.30.02.199.01.517) თვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 150 ლარის ოდენობით ;

გ) სოფელ სარფის ცენტრში მოსაცდელის შენობის (სავალუტო ჯიხურის) თავზე სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის (ს/კ 22,30,02,199,01/517) თვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით ;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე